“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მინსკი) – 1:0 (0:0).

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 2 აპრილი.

თბილისი – გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, კოპალეიშვილი (ჩელებაძე), შენგელია.

მინსკი – ვერგეენკო, ბოროვსკი, კურნენინი, ბელოვი, შავეიკო, პავლოვი, ალექსეიჩიკოვი, პუდიშევი, სიტიკი, კურნეევი, ვასილევსკი.

მსაჯი: ა. შევჩენკო (მოსკოვი).

ბურთი 88–ე წუთზე 11–მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა გუცაევმა.

გაფრთხილებული არიან კურენინი და ბოროვსკი.

ორი ნაბიჯი აღმართზე

საფეხბურთო კოლექტივთან ჩვენს დამოკიდებულებას მეტწილად გუნდის შედეგები განსაზღვრავს. ეს დამოკიდებულება უკვე ჩემპიონატის პირველივე მატჩების წინ არის ხოლმე გამოკვეთილი. სავსებით ბუნებრივია, რომ კოლექტივისაგან ყოველთვის წინსვლას მოველით, შარშანდელ ჩემპიონს კი, რაღა თქმა უნდა, ისევ პირველ ადგილს, უცილობლად ჩემპიონობას ვთხოვთ. თუმცა, დროდადრო უფრო შორსაც მივდივართ, ჩემპიონისგან თითქმის ყოველ მატჩში გამარჯვებას, თანაც შთამბეჭდავ გამარჯვებას ველით.; არადა, ასეთ პრეტენზიების დაკმაყოფილება ძნელად რომ რომელიმე გუნდს შეეძლოს.

გვინდა თუ არ გვინდა, სწორედ ამგვარი ექსპოზიცია იქმნება ნებისმიერი ჩემპიონატის წინ და დროს მხოლოდ მერე შეაქვს კორექტივები ჩვენს სურვილებსა და ვარაუდებში.

შარშანდელმა სეზონმა თბილისის “დინამოს” ჩემპიონობა, ქართულ ფეხბურთს კი ერთობ საპატიო ადგილი არგუნა. ამან კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი მოთხოვნები. მაგრამ ერთი წუთითაც არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ პროგრესს თუ რეგრესს სხვა კოლექტივებიც განიცდიან და სავსებით შესაძლებელია, წლევანდელმა სეზონმა ჩვენს ფეხბურთს ახალი ლიდერი გამოუძებნოს, თუმცა, ეს მხოლოდ შესაძლებელია და არა აუცილებელი.

დაიწყო ახალი ჩემპიონატი და სპეციალისტებიც, გულშემატკივრებიც უკვე ცდილობენ გამოიცნონ ძალთა წლევანდელი შეფარდება. კიდევ რამდენიმე ტური და ალბათ საჭიროც გახდება ფასეულობათა გადაფასება.

ჩემპიონატი ძნელი იქნება, განსაკუთრებით, თბილისის “დინამოსათვის”. ალბათ არავისთვის იქნება მოულოდნელი, თუ უმაღლესი ლიგის ბინადართა უმეტესობა სწორედ ჩემპიონთან ითამაშებს თავის საუკეთესო მატჩს. ეს თითქმის აქსიომაა და თუნდაც მხოლოდ ამის გამო, ძნელად რომ შარშანდელი ძალით თამაში ჩვენს გუნდს წლეულსაც ეყოს საჩემპიონოდ.

მეოთხე წელია თბილისის “დინამომ” სხვაგვარი სიახლე მიიღო, ისეთი, ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე შეიძლება ითქვას, პირველი კლასის გუნდს რომ მოეთხოვება. რა თქმა უნდა, ცვლილება განიცადა კოლექტივის ზოგიერთმა უბანმა, მაგრამ იმდენად მცირეა ეს ცვლილება, რომ ახალ გუნდზე ლაპარაკი (საუბარი

შემადგენლობაზე) მართებული არ იქნებოდა. ფაქტიურად, სიტყვა “ახალი” გუნდის სათამაშო ტაქტიკას, ფეხბურთისადმი თვითონ სპორტსმენთა დამოკიდებულებას უფრო ესადაგება. ბუნებრივია, ეს ყველაფერი უცბად, ხელის ერთი დაკვრით არ მოსულა. მეტიც, იმდენად თანდათანობითი, შეუმჩნეველი იყო გარდაქმნა, რომ როგორც კი გუნდი საბჭოური ფეხბურთის სათავეში მოექცა, ბევრმა მხრებიც კი აიჩეჩა – დინამოელთა სპორტულ იღბალს თუ სხვათა უიღბლობას მიაწერა ეს აღზევება (უთუოდ თავისი სიტყვა თქვა “დინამოზე”, როგორც განწყობილების გუნდზე გრადაციულმა წარმოდგენამ).

წლეულს თბილისელებმა ჩემპიონატის 2 მატჩის გარდა 6 სათასო შეხვედრაც გამართეს. არც ერთ იმ მატჩში, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად იყო შესაძლებლობა, გუნდს განწყობილებისთვის არ მოუხდია ხარკი. თითოეული ფეხბურთელი აკეთებდა იმას, რაც აუცილებელი და საჭირო იყო. არც მეტი, არც ნაკლები. საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულების ამგვარი ნიშნები “დინამოს” კარგა ხანია დაეტყო, სამი საფეხბურთო სეზონის განმავლობაში ეს ნიშნები მომრავლდა და ახლა სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იქცა ჩვეად, მოთხოვნილებად, კოლექტივის მახასიათებლად.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ვთქვით და ისევ გავიმეორებთ, რომ ახალმა სეზონმა ახალი სიძნელეები მოუტანა კოლექტივს. საბჭოთა ფეხბურთის ლიდერის პოზიციის შესანარჩუნებლად გუნდმა უცილობლად უნდა გადადგას კიდევ ერთი ნაბიჯი სრულყოფისკენ. ყოველ შემთხვევაში, პირველმა ორმა მატჩმა ნამდვილად დაგვარწმუნა, რომ ეს აუცილებელია.

“ლოკომოტივთან” შეხვედრა თბილისელებმა, ცოტა არ იყოს, აკადემიურად დაიწყეს და საკუთარი უპირატესობის ეს მეტისმეტი რწმენა კინაღამ ქულის ფასად დაუჯდათ. გუშინწინდელ მატჩში გუნდი სულ სხვაგვარად იყო განწყობილი, მაგრამ გამარჯვება ბოლო წუთებამდე მაინც სათუო იყო.

კარგა ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ მინდორს კვლავ დაუბრუნდა ხინჩაგაშვილი. ჩივაძე–ხინჩაგაშვილის ტანდემზე საუბარი, რა თქმა უნდა, ჯერ ნაადრევია. მწვრთნელთა განკარგულებაში რამდენიმე ვარიანტია და ალბათ მოიძებნება კიდეც ოპტიმალური. სხვა დანარჩენი ფაქტიურად უცვლელი დარჩა, თუ არ ჩავთვლით ცენტრალურ ნახევარმცველთა წყვილს. დაცვის ფუნქციები კოპალეიშვილს დაეკისრა. მ. მაჩაიძემ ოდნავ წინ, თავდამსხმელებისკენ გადაინაცვლა. ასე თამაშობდა გუნდი პირველ ტაიმში და, შეიძლება ითქვას, რომ ამ სქემამ არ გაამართლა. თბილისელთა კაპიტანი, რომ იტყვიან, მისთვის უჩვეულო საქმეს აკეთებდა. მეორე ტაიმში ეს ხარვეზი გამოსწორდა, მაგრამ თბილისელებს მინდვრის ცენტრში მაინც არ აღმოაჩნდათ ფეხბურთელი, სწრაფი, ენერგიული მოქმედებით ხელფეხშებოჭილ შენგელიასა და გუცაევს უფრო თავისუფალი თამაშის პირობებს რომ შეუქმნიდა. არითმიული, დროდადრო ძალზე ნელი თამაშიც გუნდს, ბუნებრივია, უნდა შეეძლოს, მაგრამ ხშირად, უფრო სწორად მეტწილად სწორედ სწრაფი თამაშია საჭირო. მინსკელები დაუბრკოლებლად ახერხებდნენ ათივე კაცით მინდვრის საკუთარ ნახევარზე დაბრუნებას და “დინამოც” თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქის საჯარიმოს გაჭიანურებულ ალყას მიმართავდა. დამაფიქრებელია დარასელიას როგორღაც ჩრდილში მოქცევაც. ამ ნიჭიერი ფეხბურთელის ფიზიკური კონდიციები, რა თქმა უნდა, მწვრთნელთათვის უფროა ცნობილი, მაგრამ მისი შესაძლებლობების

სრულად წარმოჩენას ალბათ მეტი სამოქმედო დიაპაზონი ესაჭიროება. ყველაფერ ამას, ბუნებრივია, სპეციალისტის მოსაზრების პრეტენზია არა აქვს, მაგრამ ის რამდენიმე მატჩი, როცა დარასელიას შემტევი ცენტრალური ნახევარმცველის ფუნქცია ეკისრა თუ თვითონვე დაიკისრა, ფეხბურთელმა მშვენივრად ითამაშა.

ახლა კი, ალბათ, ყველაზე მთავარზე. ორივე მატჩის პირველი ტაიმი "ლოკომოტივთანაც" და მინსკის "დინამოსთანაც" თბილისელებმა უშედეგოდ დაასრულეს. რა თქმა უნდა, გუნდს ვერ მოსთხოვ მაინცდამაინც პირველ ტაიმში გაიტანე გოლიო, მაგრამ საამისო ცდა უნდა იყოს და აუცილებელიც არის. თორემ რა, ამ ორივე მატჩში მეორე 45 წუთის სათამაშოდ ჩვენი ორივე მეტოქე ენერგიის საკმაო მარაგით გამოდის და ტექნიკურ თუ ტაქტიკურ უკმარისობას ჭარბი ძალებით ინაზღაურებს. თუმცა ჩემპიონატი მხოლოდ ახლა იწყება და ეს პირველი ორი გამაფრთხილებელი ნიშანი, კარგი იქნება, თუ დროულიც გამოდგება და სასარგებლოც. ქვეყნის პირველი კოლექტივის სახელის გამყარებისათვის, ჩვენი ფეხბურთის ჭეშმარიტი ლიდერის სახელის დამკვიდრებისათვის, თბილისელებს წლეულს აუცილებლად ესაჭიროებათ საბუთი. ისიც მხოლოდ და მხოლოდ ოქროს ფერისა.

ი. ბერიაშვილი.
"ლელო", 4 აპრილი 1979 წ.